

ფინანსური ანგარიშგება და კომპილაციის ანგარიში

შპს ჰაი ტექ სოლუშენსი

31 დეკემბერი 2024



სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება	8
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9

შპს გრანტ თორნტონ

ს/ნ: 200136600

იურიდიული მისამართი:

საქართველო, თბილისი,

ისნის რაიონი,

ქეთევან წამებულის გამზირი, № 54

ტ.: +995 322 604 406

Grant Thornton LLC

I/N: 200136600

Legal address:

Georgia, Tbilisi, Isani district,

Ketevan Tsamebuli avenue, № 54

T.: +995 322 604 406

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე

შპს „ჰაი ტექ სოლუშენსი“-ს დამფუძნებელს

ჩვენ შევადგინეთ შპს „ჰაი ტექ სოლუშენსი“-ს („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4410-ის (გადასინჯული) – „კომპილაციური გარიგებები“ – შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რათა დაგხმარებოდით თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს). ჩვენ დავიცავით შესაფერისი ეთიკური ნორმები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების პრინციპები.

ამ ფინანსურ ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

პაატა შურღაია

მმართველი პარტნიორი

1 ოქტომბერი, 2025



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი		2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი გადაანგარიშებული	2022 წლის 31 დეკემბერი გადაანგარიშებული
	შენიშვნები			
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		51,714	75,624	114,947
არამატერიალური აქტივები		143	209	2,710
გრძელვადიანი ინვესტიციები		59,488	55,100	55,100
		111,344	130,933	172,757
მიმდინარე აქტივები				
მარაგები		51,720	51,606	50,388
გაცემული ავანსები		690,498	763,221	767,221
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	3,138,376	3,163,057	2,776,146
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	110,298	160,371	582,765
მიმდინარე აქტივები		3,990,893	4,138,256	4,176,520
		4,102,237	4,269,189	4,349,276
სულ აქტივები				
კაპიტალი და ვალდებულებები				
საწესდებო კაპიტალი		10,000	10,000	10,000
გაუნაწილებელი მოგება		3,646,306	3,508,693	3,230,037
		3,656,306	3,518,693	3,240,037
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		266,781	494,485	776,281
მიღებული ავანსები	7	144,361	213,416	157,285
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		10,000	15,000	164,599
სხვა ვალდებულებები		24,789	27,596	11,074
		445,931	750,497	1,109,239
		4,102,237	4,269,189	4,349,276
სულ კაპიტალი და ვალდებულებები				

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 1 ოქტომბერს:

ნინო გვაზავა
დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (8-17 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	5,409,049	3,896,075
რეალიზებული პროდუქციის	10	(4,201,436)	(2,570,476)
თვითღირებულება			
მთლიანი მოგება		1,207,613	1,325,598
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები		(1,346)	(7,317)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(892,588)	(832,505)
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი		(29,181)	(48,558)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(92,612)	(188,191)
საოპერაციო მოგება/ზარალი		191,886	249,028
საპროცენტო შემოსავალი		604	4,893
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		(11,187)	(96,294)
მოგება/ზარალი გაცვლითი კურსის		(43,689)	121,029
სხვაობიდან			
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით		137,613	278,655
დაბეგვრამდე			
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა მოგება/ზარალი		137,613	278,655
სხვა სრული შემოსავალი პერიოდისთვის			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი		137,613	278,655
პერიოდისთვის			

ნინო გვაზავა
დირექტორი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (8-17 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ლარი

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	10,000	3,240,038	3,250,037
საწესდებო კაპიტალი			
მოგება პერიოდის ბოლოს		278,655	278,655
გადახდილი დივიდენდი		-	-
წლის განმავლობაში მიღებული სრული მოგება		278,655	278,655
2023 წლის 31 დეკემბერი	10,000	3,518,693	3,528,692
საწესდებო კაპიტალი			
მოგება პერიოდის ბოლოს		137,613	137,613
გადახდილი დივიდენდი			
წლის განმავლობაში მიღებული სრული მოგება		137,613	137,613
2024 წლის 31 დეკემბერი	10,000	3,656,306	3,666,305

ნინო გვაზავა

დირექტორი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (8-17 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება მოგების გადასახდამდე	137,613	278,655
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	29,181	48,558
სავალუტო გავლენა ფულად სახსრებზე	43,689	(121,029)
საოპერაციო შედეგები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	210,483	206,184
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	97,404	(382,911)
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებებში	(304,565)	(358,742)
ცვლილება მარაგებში	(114)	(1,219)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	3,208	(536,688)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	3,208	(536,688)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შესაძენად გადახდილი ფული	(5,204)	(7,318)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		584
შემოსვლა გრძელვადიანი ინვესტიციიდან	(4,388)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(9,592)	(6,734)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება	(6,384)	(543,422)
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	160,371	582,765
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	(43,689)	121,029
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	110,298	160,371

ნინო გვაზავა

დირექტორი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (8-17 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი იფორმაცია

შპს ჰაი ტექ სოლუშენსი (კომპანია) დაარსდა საქართველოში, როგორც მეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2008 წელს.

შპს ჰაი ტექ სოლუშენსის რეგისტრირებული მისამართია - საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, №70

კომპანიის ძირითადი საცალო ვაჭრობა კომპიუტერებით, პერიფერიული მოწყობილობებით და პროგრამული უზრუნველყოფით სპეციალიზებულ მაღაზიებში. ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის კოდია 47410.

კომპანიის პარტნიორები და მათი შესაბამისი წილები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

პარტნიორი

31 დეკემბერი 2024

31 დეკემბერი 2023

%

%

მალხაზ სხირტლაძე 01006005382

80.00

80.00

ნინო გვაზავა 60001146739

20.00

20.00

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად, რომელიც მიღებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ("ბასს"). ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია საქმიანობს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-13 შენიშვნაში.

3 მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9306 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6894 ლარი და ერთი ევრო 2.9753 ლარი).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალ-ცალკე ძირითად საშუალებებად.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწვევითანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

შენობები	20 წელი
ოფისის აღჭურვილობა	4 - 5 წელი
ავეჯი და ინვენტარი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	7 წელი
არამატერიალური აქტივები	7 წელი

3.3 წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდა აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა ეხება აქტივს, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, როდესაც მიიღება საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარ გადახდასთან. თუ არსებობს მითითება, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარებულია წლის მოგება-ზარალში.

3.4 ფული და ფულის ექვივალენტები

ნაღდი და საბანკო ნაშთები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებს.

3.5 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს აქციონერის შენატანებს კომპანიის წესდებაში. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის დამფუძნებლის მიერ. კომპანიის კაპიტალში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის აქციონერის გადაწყვეტილების საფუძველზე.

აკუმულირებული ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ ზარალს.

დივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადებულია.

3.6 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდა მისი გამოცხადება. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85.

2017 წელს და შემდგომში გადახდილი ნებისმიერი დივიდენდის გადასახადის გადახდისათვის, 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან, საგადასახადო კრედიტი ხელმისაწვდომია კორპორაციული საშემოსავლო გადასახადისთვის, რომელიც გადახდილია წინა მოდელის მიხედვით გადანაწილებულ მოგებაზე.

კორპორაციული შემოსავლების დაბეგვრის ამჟამინდელი კონცეფციის თანახმად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს და მათ საგადასახადო ბაზებს შორის დროებითი განსხვავებები არ არსებობს. ამრიგად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 საშემოსავლო გადასახადი, არ ფორმირდება 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ.

3.7 დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) გადასახდელია საგადასახადო ორგანოსთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთანავე მომხმარებლებისთვის, რომელიც უნდა გადაიხადონ არაუგვიანეს ოპერაციის თარიღის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. ჩასათვლელი დღგ ზოგადად ჩასათვლელია გადასახდელი დღგ-ის საპირწონედ დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას.

გაყიდვებთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებული და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გადასახდელსა და ჩასათვლელ დღგ-ს შორის სხვაობის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ შექმნილია მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მთლიანი თანხისთვის, დღგ-ის ჩათვლით.

3.8 თანამშრომელთა სარგებელი

მოკლევადიანი თანამშრომლის სარგებელი არის სარგებელი, რომელიც მოსალოდნელია სრულად დაფარული წლიური საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან თორმეტ თვემდე, რომელშიც თანამშრომლები გაწევენ შესაბამის მომსახურებას და მოიცავს:

- ჯილდოებს, ხელფასებსა და ბონუსებს
- ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი;

როდესაც თანამშრომლები მომსახურებას უწევენ კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კომპანია აღიარებს თანამშრომლების მოკლევადიანი სარგებლის არაპროგნოზირებულ თანხას, რომელიც მოსალოდნელია გადაიხადოს ამ მომსახურების სანაცვლოდ:

- როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი), უკვე გადახდილი თანხის გამოქვითვის შემდეგ. თუ უკვე გადახდილია თანხა გადააჭარბებს სარგებლის არა დისკონტირებულ რაოდენობას, კომპანიამ უნდა აღიაროს ეს ჭარბი აქტივი (წინასწარ გადახდილი ხარჯი) იმდენად, რამდენადაც წინასწარი გადახდა გამოიწვევს მომავალი გადახდების შემცირებას ან ფულად ანაზღაურებას.
- ხარჯის სახით, თუ თანხა არ შედის აქტივის ღირებულებაში.

3.9 შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას ან მისაღებ საქონელს.

შპს „ჰაი ტექ სოლუშენსის“ კორპორაციის ოპერაციული შემოსავლების სტრუქტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული კომპიუტერებით, პერიფერიული მოწყობილობებით და პროგრამული უზრუნველყოფით სპეციალიზებულ მაღაზიებში საცალო თუ საბითუმო ვაჭრობასთან, რომლებიც სტრატეგიულად არის დაყოფილი რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებად:

ორგანიზაცია ძირითადად ახორციელებს აიტი სფეროში მომსახურებას (ლიცენზიების შესყიდვასა და გაყიდვას), საერთაშორისო კომპანიებთან ეროვნული საზღვრების მიღმა და შესაბამისად, გენერირებს მნიშვნელოვან შემოსავალს საერთაშორისო ოპერაციებიდან. ეს მიმართულება წარმოადგენს კომპანიის გლობალური კონკურენტუნარიანობისა და საერთაშორისო ბაზრებზე პოზიციონირების მნიშვნელოვან ინდიკატორს.

ადგილობრივ კომპანიებთან მომსახურების მიწოდება წარმოადგენს შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს. ეს სეგმენტი ასახავს კომპანიის უნარს, ეფექტურად მოემსახუროს ადგილობრივ მოთხოვნებს და შეინარჩუნოს მყარი პოზიცია ბაზარზე.

4 ძირითადი საშუალებები

ლარი	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
<i>ხარჯი</i>			
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	145,889	87,313	233,202
შემოსვლა	7,318	-	7,318
გასვლა	(28,048)	(508)	(28,556)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	153,207	87,313	211,964
შემოსვლა	5,204	-	5,204
გასვლა			
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	158,411	87,313	217,168
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება			
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	69,359	48,897	118,255
წლიური ცვეთა	28,594	17,463	46,057
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	(27,541)	(432)	(27,973)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	70,412	65,927	136,340
წლიური ცვეთა	19,393	9,722	29,115
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	89,805	75,649	165,454
საბალანსო თანხა			
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	82,795	21,386	75,624
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	68,606	11,664	51,714

5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები ადგილობრივი მყიდველებისაგან	2,688,155	2,715,114
სავაჭრო მოთხოვნები უცხოური მყიდველებისაგან	2,277	-
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	447,943	447,943
	<u>3,138,376</u>	<u>3,163,057</u>

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიიჩნევა სამართლიანი ღირებულების გონივრულ მიახლოებად.

6 ფული საბანკო ანგარიშზე

საბანკო ნაშთები დენომინირებულია ლარში.

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საბანკო ანგარიში ლარი	106,018	158,205
საბანკო ანგარიში დოლარი	4,280	2,166
საბანკო ანგარიში ევრო	-	-
საბანკო ანგარიში სტელრინგი	-	-
	<u>110,298</u>	<u>160,371</u>

7 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები ადგილობრივი მომწოდებლების მიმართ	169,625	407,947
სავაჭრო ვალდებულებები უცხოური მომწოდებლების მიმართ	96,406	86,538
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	750	-
	<u>266,781</u>	<u>494,485</u>

8 შემოსავალი

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი რეალიზიციიდან (Project)	5,186,397	3,812,200
შემოსავალი სპონსორობიდან (General Sponsor)	183,868	83,875
შემოსავალი სპონსორობიდან (Ivent Sponsor)	38,783	-
	<u>5,409,049</u>	<u>3,896,075</u>

9 რეალიზებული პროექტის თვითღირებულება

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
გაყიდული საქონელის თვითღირებულება (Project)	3,928,632	2,584,517
გაყიდული საქონელის თვითღირებულება (General Sponsor)	231,407	(14,040)
გაყიდული საქონელის თვითღირებულება (Ivent Sponsor)	41,397	
	4,201,436	2,570,476

10 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
შრომის ანაზღაურება	671,405	690,871
საიჯარო ქირა	91,726	72,092
საკონსულტაციო ხარჯები	59,727	14,252
ცვეთა და ამორტიზაცია	29,181	48,558
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	15,224	12,122
კომუნიკაციის ხარჯები	14,007	12,054
სოციალური დანარიცხები	12,862	16,192
სამიწვინებო ხარჯები	7,478	4,664
საბანკო მომსახურების ხარჯი	5,469	3,511
კომუნალური ხარჯები	1,341	254
რეკლამის ხარჯები	1,089	7,317
კომპიუტერის ხარჯები	-	757
დაზღვევის ხარჯი	20	-
სხვა საერთო ხარჯი	106,198	193,926
	1,015,727	1,076,570

11 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

11.1 ვარაუდი ფუნქციონირებასთან დაკავშირებით

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას მენეჯმენტი აფასებს კომპანიის შესაძლებლობას გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე, ვინაიდან მენეჯმენტს არ აქვს არც განზრახვა და არც საჭიროება კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.

12 დაკავშირებული მხარეები

კომპანიას ჰყავს ორი დაკავშირებული მხარე, სადაც თავად კომპანიამ განახორციელა ინვესტიცია
ესენია MESH LTD და შპს ეიჩთი ჰელსი 1

13. წინა წლების ფინანსური ანგარიშგებების გადაანგარიშება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოავლინა შეცდომები. 2022 და 2023 წლების ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას კონკრეტული ხარჯი აღიარებული იყო არასწორი პერიოდის მიხედვით, რის გამოც დარღვეული იყო ხარჯების დარიცხვის პრინციპი. ამასთანავე, ბალანსის მუხლებში მოხდა გარკვეული კორექტირებები. მიმდინარე წლის ანგარიშგების მომზადებისას გამოვლენილი შეცდომა სრულად გასწორდა, რამაც გამოიწვია ფინანსური მაჩვენებლების ცვლილება. შემდეგ ცხრილებში შეჯამებულია კორექტირებები, რომლებიც გაკეთდა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და 2024 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი (წარდგენილი)	კორექტირება	2022 წლის 31 დეკემბერი (გაანგარიშება)
დაგროვილი მოგება / (ზარალი)	1,915,446	1,314,591	3,230,037
მთლიანი კაპიტალის ეფექტი		1,314,591	
ძირითადი საშუალებები	710,422	(595,475)	114,947
გრძელვადიანი ინვესტიციები	-	55,100	55,100
არამატერიალური აქტივები	-	2,710	2,710
მარაგები	50,807	(419)	50,388
გაცემული ავანსები	-	767,221	767,221
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,013,432	1,762,713	2,776,146
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	581,705	1,060	582,765
მთლიანი მოთხოვნების ეფექტი		1,992,910	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	430,920	345,361	776,281
მიღებული ავანსები	-	157,285	157,285
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	164,599	164,599
სხვა ვალდებულებები	-	11,074	11,074
მთლიანი ვალდებულებების ეფექტი		678,319	

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი (წარდგენილი)	კორექტირება	2022 წლის 31 დეკემბერი (გაანგარიშება)
შემოსავალი	5,077,902	1,800,311	6,878,213
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3,712,333)	118,038	(3,594,295)
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	-	(42,006)	(42,006)
ადმინისტრაციული ხარჯები	(3,247,509)	2,168,302	(1,079,207)
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი	(30,400)	(12,715)	(43,115)
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	(118,199)	(118,199)
საპროცენტო შემოსავალი	-	12,129	12,129
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(104,853)	71,863	(32,990)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	-	(213,069)	(213,069)
ეფექტი პერიოდის შედეგზე		3,784,654	

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი (წარდგენილი)	კორექტირება	2023 წლის 31 დეკემბერი (გაანგარიშება)
დაგროვილი მოგება / (ზარალი)	1,762,237	1,746,456	3,508,693
მთლიანი კაპიტალის ეფექტი		1,746,456	
ძირითადი საშუალებები	770,482	(694,858)	75,624
არამატერიალური აქტივები	-	209	209
გრძელვადიანი ინვესტიციები	-	55,100	55,100
გაცემული ავანსები	-	763,221	763,221
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,756,611	1,406,448	3,163,057
მთლიანი მოთხოვნების ეფექტი		1,530,120	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	966,833	(472,348)	494,485
მიღებული ავანსები	-	213,416	213,416
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	15,000	15,000
სხვა ვალდებულებები	-	27,596	27,596
მთლიანი ვალდებულებების ეფექტი		(216,336)	

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი (წარდგენილი)	კორექტირება	2023 წლის 31 დეკემბერი (გაანგარიშება)
შემოსავალი	3,428,254	467,821	3,896,075
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,950,823)	(619,653)	(2,570,476)
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	-	(7,317)	(7,317)
ადმინისტრაციული ხარჯები	(1,446,478)	613,973	(832,505)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(48,557)	(1)	(48,558)
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	(188,191)	(188,191)
საპროცენტო შემოსავალი	-	4,893	4,893
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(135,605)	39,311	(96,294)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	-	121,029	121,029
ეფექტი პერიოდის შედეგზე		431,865	

14 შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას.